საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის
მეურნეობის მინისტრის მოადგილეს

ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ შ.პ.ს. „ედიფის არტ ურბან"-ი (ს/კ 406177122) გეგმავს ქალაქ თბილისში, სოფელი წავკისის ტერიტორიაზე, დაახლოებით 10 ჰა ფართობზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის მშენებლობას და ექსპლუატაციას.

შ.პ.ს. „ედიფის არტ ურბან"-ის დაგეგმილი საქმიანობა მიეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს II დანართის 9.2 პუნქტით (10 ჰექტარზე მეტი განაშენიანების ფართობის მქონე ურბანული განვითარების პროექტი. მათ შორის, სავაჭრო ცენტრისა და 1000 ავტომობილის ტევადობის ავტოპარკის მოწყობა) გათვალისწინებულ საქმიანობას და ამ საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით ხორციელდება სკრინინგის პროცედურა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, სოფელი წავკისის ტერიტორიაზე, დაახლოებით 10 ჰა ფართობზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, წარმოგიდგენთ საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად შედგენილ სკრინინგის განცხადებას და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

დანართი: 1. ქალაქ თბილისში, სოფელი წავკისის ტერიტორიაზე, ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის სკრინინგის ანგარიში;

2. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ ინფორმაცია, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად).

პატივისცემით,

იანეკ შიხიაშვილი

შ.პ.ს. „ედიფის არტ ურბან"-ის დირექტორი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 970
25 01 22
1/CD
+ 02 +